



კრივისაარტაშორისო ტურნირი

აბა, ბაქოს რინგზე მნახე ვინა ვარ...

აზერბაიჯანის დედაქალაქმა ამ დღეებში სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) პრეზიდენტის, პროფესორ ენვერ ჩაუდის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა.

ასპარეზობა ქართველ მოკრივეთა თვალსაჩინო წარმატებით წარმართა, - თქვა გუნდის ხელმძღვანელმა, სპორტის ოსტატმა სერგო ბერძენიშვილმა, - საქმე ისაა, რომ საქართველო წარსდგა ცხრა მოკრივით, მათგან რვა მედლით დაბრუნდა შინ. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოკრივეებს საქმე ჰქონდათ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან, რომე-



დავით ადამაშვილი

ლთაც დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვთ, რაც ჩვენ ძალიან გვაკლია. იქ იყვნენ კარგად მომზადებული ირანელი და ჩეჩენი სპორტსმენები, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით რინგის მასპინძლებზე, რომლებიც 1980-1981 წლებში დაბადებულთა ევროპის ჩემპიონატი IV ადგილზე გავიდნენ.

ქართველმა გამოსვლას, შეიძლება ითქვას, მტკიცე ბალავარი ჩაუყარა მეორე უმჩატესი წონის (51 კგ) მოკრივემ დავით ადამაშვილმა, მან ფინალამდე მასპინძელ ვეჯაბალა ჰასანოვს სძლია, მერე კი ძლიერ ირანელ ჰუზეინალი ფაზევის დაუპირისპირდა ფინალში და მხოლოდ ბოლო - მეხუთე რაუნდში გარდატეხა ბრძოლა და გაიმარჯვა. კარგად დაიწყო ქუთაისელმა მამუკა გორდუზიანმა (54 კგ), განსაკუთრებით დაბალსოვრდათ ბაქოელებს იგი მეოთხე-დღინაში, როცა იქაური რაფიკ ნურიევი დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალი დათმო ისევ ბაქოელ, ევ-

როპის პირველობის ფინალისტ რუფატ ჰუსეინოვთან და მესამე ადგილზე გავიდა. ყველაზე ბევრმა მოკრივემ მსუბუქ - 60 კგ. წონაში მოიყარა თავი. აქ გიორგი კანდელაკის მოწაფე, ვარიანელი მალხაზ ბერკაძე იცავდა ჩვენს ღირსებას. მან ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა მასპინძელი ფარმან ნანაჯანოვი, ირანელი ოზან გასიმი და გადამწყვეტ ბრძოლაში ევროპის პირველობის ფინალისტ ინტიგამ რუსტამოვთან დამარცხდა. მომდევნო წონებში ჭიათურელი ანატოლ ქავთარაძე, ქუთაისელი ირაკლი გოგოლაძე და თბილისელი ლევან ჯანჯღავა, მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. დასამასხოვრებელი იყო ზურაბ ქეპაძის (75 კგ.) ნახევარფინალური ბრძოლა ჩეჩენ თემურ ლუარსაბოვთან. პირველ სამ რაუნდს იგი აგებდა, და შეეუბრგდით კიდევ მის დამარცხებას, მაგრამ ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა და გამოსტაცა მეტოქეს გამარჯვება, ფინალი კი დათმო მასპინძელ აზირ მამედოვთან.

და ბოლოს დავით გეგეშიძე! „ლელოს“ მკითხველებს უნდა დამახსოვრებოდეთ ეს სახელი, ვინაიდან მწვრთნელ ნოდარ ქიქავას მოსწავლემ ბოლო ხანებში რამდენიმე ტურნირში, მათ შორის საერთაშორისოში ისახელა თავი. მას არც ამჯერად გაუნბილვია ქომაგები, - საუკეთესო იყო ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის და ღირსეულად გაიმარჯვა. ნახევარფინალში სძლია იქაურ შახიდ ბაბაევს, ფინალი კი ჩეჩენი რასულ დუდაევის წინააღმდეგ გადამწყვეტი მეოთხე და მეხუთე რაუნდები თვალსაჩინო უპირატესობით ჩაატარა და პირველობა დაისაკუთრა. იგი დავით ადამაშვილთან ერთად სპეციალური პრიზით - საუკეთესო ტექნიკისათვის დააჯილდოვეს. ტურნირის საუკეთესო არბიტრად კი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დავით ქავთარაძე დასახელეს. უნდა ითქვას, რომ ეს ტურნირი კარგ სამსახურს გაუწევს აზერბაიჯანელ ახალგაზრდა მოკრივეების დაოსტატებას. მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ საერთაშორისო ტურნირი ჩვენც გვქონდა, რომელმაც მოკრივეების მთელი პლეადა წარმოაჩინა. დღეს კი...

ზ. უნბიანი

ბილიარდი ახლა გათუხუი ლილია თინგიო ღლონტია!

თავის „რაინდები“ ბილიარდსაც ჰყავს. ისინი ყველგან არიან და არიან ბათუმშიც, სადაც ამ დღეებში სასტუმრო „მესხეთის“ კლუბ „დედფინში“ ბილიარდის სახელგანთქმული ოსტატების სოსო ჭავჭავაძისა და ჯემალ დევიდის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა ამერიკანკაში. 16 მონაწილე ოლიმპიური სისტემით ჩაება ასპარეზობაში. ფინალამდე მიადგინა აჭარის მრავალგზის ჩემპიონმა, მხატვარ დიზაინერმა თინგიო ღლონტმა და ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტმა იოსებ დიასამიძემ. ხუთ პარტიაში გამარჯვება წილად ხვდა ღლონტს 3:2 (პირველი

პარტია მოიგო ღლონტმა, მეორე და მესამე - დიასამიძემ, მეოთხე და მეხუთე - ისევ ღლონტმა). მესამე ადგილი წილად ხვდა აფხაზეთიდან დევიდოს, სოხუმელ ალექო ფანცულაიას. გამარჯვებულს მთავარი პრიზი - ვიდეო მაგნიტოფონი გადასცა სოსო ჭავჭავაძის ვაჟმა - მიშკომ. პრიზიორებიც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ოთარ მურმანიძე, „ლელოს“ საკ. კორ., ბათუმი

კარატა - «იმალი - 2000»

ჩვენში კარატეს მრავალი მიმდინარეობა დანერგილი და ყველა მათგანს დიდი ინტერესით ეტანებიან მოზარდები. როცა სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშობებს, თუნდაც სპორტის ოლიმპიურ და საერთაშორისო სახეობებს გასაქანი არ აქვს, აღმოსავლური ორთაბრძოლების ასეთი პოპულარობის მაღლობებიც უნდა ვიყოთ. ბოლოს და ბოლოს თავისუფალ დროს მოზარდთა გარკვეული ნაწილი ქუჩაში მაინც არ ატარებს და რაღაცას ეუფლება. ბუნებრივია, სადაც მასობრივად, იქ შეჯიბრებებიცაა. თანატოლები ერთმანეთში პაექრობენ, ავლენენ საკუთარ ძალებს და შესაძლებლობებს. ასეთ ასპარეზობათა თაოსნებად კი ხშირად გვევლინებიან ხოლმე თვით კარატეს სპეციალისტები. „ტონი-პა კარატეო შიტორიუ კოფუკანი“ კარატეს ერთ-ერთი მიმართულებაა და მისმა პრეზიდენტმა ჯონი ტაუდინომ პაატა შევლიძესთან (მთავარი მსაჯი იყო) ერთად უკვე მესამედ ჩაატარა ტრადიციულ ქვეული ტურნირი „იმედი-2000“, რომელშიც 8-18 წლის გოგობიჭები მონაწილეობდნენ. კარატეში: ბიჭები. 8 წ. 1. ვახტანგ ჩუგუაშვილი, 2. გიორგი გამგლიშვილი, 3. დანი ბაღუაშვილი; 9-10 წ. 1. ნოდარ თუშიშვილი, 2. გიორგი ტერუნაშვილი, 3. გიორგი ივარდავა, 11 წ. 1. ირაკლი კობერიძე, 2. რატი ხუნწარია, 3. ალექო ბერუნაშვილი; 12-13 წ. 1. გიორგი ერუგვიანი, 2. გიორგი ჯაბაღონია, 3. დავით ბერიძე; 14-15 წ. 1. რუსლან მამედოვი, 2. დავით თორდინავა, 3. გიორგი ელენტი, 16-17 წ. 1. გიორგი უგრეხელიძე, 2. ბიქტორ გაგუა, 3. გიორგი ში-



გამარჯვებულები და პრიზიორები

ოშვილი; 18 წ. 1. ჯიმშერ ბიტკაში, 2. დავით კიკალეიშვილი... გოგონები: 9-10 წ. 1. ქეთევან გოგებრიშვილი, 2. ნინო ჩალაძე, 3. ინა მალეანსი; 16-17 წ. 1. ლალი ზარდიაშვილი, 2. ნათია სულაბერიძე, 3. დიანა რომაშვილი. 6. თუშიშვილი

ონელაუს აქვთ სათქმელი სპორტი და რეგიონი

სპორტის განვითარებისთვის საერთო არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში არ ჩამკვდარა მუშაობა, მათ შორის კი, ვინც არ დაივიწყა თუ რა არის „სპორტულ დონისძიებათა კალენდარი“ და რა მნიშვნელობა აქვს მის შესრულებას, თამამად შეიძლება დავასახელოთ ონის რაიონი. ცნობილი ამბავია, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება სპორტს, საქმე, როგორც იტყვიან, არ გაცივდება. ონის რაიონის გამგეობამ თავდა დაამტკიცა სპორტდონისძიებათა კალენდარი და მის შესრულებაც იზრუნა. ასე ჩატარდა წლეულს რაიონში 18 სპორტული დონისძიება, მათ შორის ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭა-

დრაკში... იმართებოდა აგრეთვე ამხანაგური შეხვედრები და ტურნირები მუხობელი რაიონების სპორტსმენებთან. - ამ დონისძიებებმა კარგი შესაძლებლობა მოგვცა დაგვეკომპლექტებინა რაიონის ნაკრები გუნდები და მონაწილეობა მიგვეღო როგორც სამხარეო, ისე სრულიად საქართველოს პრობლემაში - ამბობს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შ. ქოჩიაძე. სამხარეო პირველობებში სპორტის ხუთი სახეობიდან ოთხში ონელებმა იმარჯვეს (ქართული და თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფეხბურთი). მძლეოსანმა კ. კუხიანიძემ ქვეყნის პირველობაზე ჭაბუკთა შორის ბირთვის კვრაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. თავისუფალი სტილით ოთხი მოჭიდავეა მიწვეული საქართველოს ნა-

კრებში. ფეხბურთელებმა იმერეთის წონაში მეორე ადგილი დაიკავეს მ. მესხის პრიზის გათამაშებაში. მოზარდ ფალავანთა დაოსტატებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ვეტერანებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ცნობილი სპეციალისტის შურა მისურაძის სახელობის პრიზის ტრადიციული გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. და მაინც, რაიონში მიაჩნიათ, რომ მიღწეული არასაკმარისია. ჯერ კიდევ არ აღმდგარა მასობრივი შეჯიბრებების გამართვის ტრადიცია სასწავლო დაწესებულებებში, განიცდიან სპორტული ფორმისა და ინვენტარის ნაკლებობას, რისთვისაც თანხებიც არ გააჩნიათ... საბაბინტო „გზმათი“

..XX საუკუნის სპორტული საქართველო

ძვირფასო მკითხველო! „ლელოს“ რედაქციამ გადანიშნა შეადგინოს ნიგნი „XX საუკუნის სპორტული საქართველო“, რომელშიც მთელი 100 წლის განმავლობაში მიღწეულ სპორტულ შედეგებთან ერთად, შევა აგრეთვე საქართველოში სპორტის განვითარების ორგანიზაციული საკითხები, იმ ადამიანების ბიოგრაფიუ-

ლი ცნობები, რომლებიც ამ სფეროში სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ ან მოღვაწეობდნენ (მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობას და თანამდებობას). შევსებული ანკეტა უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ რედაქციაში ან ჩაბარდეს სპორტის დეპარტამენტის რეგიონული მარჯვის სამმართველოში.

სახელი, გვარი
დაბ. წელი, რიცხვი
მოკლე ცნობები თქვენს მოღვაწეობაზე
თარიღი:
ხელმოწერა:

შენიშვნა: გარდაცლილ პიროვნებებზე გამოგზავნი ანკეტაში დაბადების წელთან ერთად ღვთის მითითებებს გარდაცვალების წელს. მონაცემები უფრო ვრცლად შეიძლება წერილობით დაერთოს ანკეტას.

გაზიანა

ქართული კალათბურთის ისტორია დიდების გზით იწერებოდა და მას შესანიშნავი ოსტატები წერდნენ. 40-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენი, ეროვნული კალათბურთი აღმავლობას განიცდიდა. დინამოელებმა პირველად, 1950 წელს მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, რაც უღელს მიღწევა იყო უმძიმესი კონკურენციის პირობებში. ჩვენმა რაინდებმა სამი წლის შემდეგ კვლავ გაიმორგეს ეს წარმატება და უკვე საკალათბურთო ოლიმპს შეჩვეულებს, არც მომდევნო 1954 წელს გასწელებით სსრ კავში-



ბიორბი ავალიშვილი



სურათზე: 1968 წელი. სსრ კავშირის უკვე ოთხგზის ჩემპიონი თბილისის „დინამოს“ ვაჟ კალათბურთელთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან): ა. ლეუვაძე, ბ. ბოლქვაძე, ს. მაღალაშვილი, თ. ჩიხლაძე, ა. კაზანჯიანი, ა. სხიერელი; დგანან (მარცხნიდან): ლ. ინწკირველი და გ. ავალიშვილი (მწვრთნელი); შ. ქარაბაგი, ვ. ალთაბაევი, რ. მამალაძე, ზ. ლეონტიევი, მ. ქორქია, ლ. მოსეშვილი, ვ. უგრეხელიძე, ვ. ნარბინაძე. ფოტო „ლელოს“ არქივიდან







